ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

აპრილი 1986 - N° 1 (19) - AVRIL 1986

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" ილია

შინაარსი

26 მაისი................................1

მასალები

ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობისა:

ჩვენი მიზანი............................4

ანგარიში ქართული ეროვნული საბჭოს
მეოთხე ყრილობისა........................6

ეროვნული საბჭო დღეს.....................10

რეზოლუცია ქართული ეროვნული საბჭოს
მეოთხე ყრილობისა.......................21

წესდება ქართული ეროვნული საბჭოსა.....24

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი".

დაარსება: იანვარი 1952, პარიზი - Fondation: Janvier 1952, Paris

# 26 მაისი

## I.

26 მაისი ქართველი ხალხის, ქართველი ერის, საქართველოს ისევ-აღდგომის, ისევ-განახლების, ისევ-აღორძინების დღეა, ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაულია, რომლის 68-ე წლისთავს ავღნიშნავთ დღეს, 1986 წლის 26 მაისს, აქ, "ძმობა-ერთობა-თავისუფლების" ქალაქ პარიზში; და ამით უკვე არსებითი კავშირი დამყარებულია 14 ივლისს, ფრანგი ერის დიდ ეროვნულ დღესასწაულთან, და თვით 4 ივლისს, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ დღესასწაულთან, რომლებსაც, ესე-იგი - 26 მაისს, 14 ივლისს, 4 ივლისს - ერთი საერთო ძირი, საძირკველი გააჩნია, რომელზედაც აშენდა თანამედროვე საფრანგეთის, თანამედროვე ამერიკის შეერთებული შტატების და, სანმოკლე, მაგრამ მაინც თანამედროვე საქართველოს დემოკრატია, დემოკრატიული წესწყობილება.

## II.

1776 წლის 4 ივლისს, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაინთავისუფლა თავი უცხო კოლონიური ბატონობისაგან და ასე დაიბადა არა მარტო, შეიძლება, პირველი დემოკრატიული ფედერაციული სახელმწიფო, არამედ ახალი ერი, ამერიკელი ნაცია, და ამით იგი ყველა დაპყრობილი, კოლონიური ხალხის გარდაუვალი განთავისუფლების და - მას ზევით - დემოკრატიის სიმბოლოდ გახდა. "ყოველი ადამიანი - ნათქვამია,სხვათა შორის, ვირჯინიას შტატის 1776 წლის უფლებათა კანონში - ბუნებისაგან დაბადებულია ერთნაირად თავისუფალი და დამოუკიდებელი. ყველა უფლება სადგომლობს ხალხში და ამის შედეგად გამომდინარეობს მისგან." "სახელმწიფოს კანონმდებლობისა და აღმასრულებელი ძალაუფლება დაშორებული და გამოყოფილი უნდა იქნას მართლმსაჯულებისაგან". "პრესის თავისუფლება არის თავისუფლების ერთერთი ძლიერი საყრდენი და არასოდეს არ შეიძლება შეზღუდულ იქნას..."

## III.

1789 წლის 14 ივლისს კი ბასტილიის აღება, საფრანგეთის დიდი რევოლუცია, რის შედეგად ნაციონალური კრება აცხადებს ადამიანისა და მოქალაქეთა უფლებებს, რასაც 1791 წლის 3 სექტემბრის კონსტიტუციის გამოცხადება მოყვა, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია: "ადამიანები არიან და რჩებიან დაბადებით თავისუფალი და უფლებებით თანასწორნი." "სუვერენობის წყარო საბოლოოდ სადგომლობს ერში". "თავისუფალი მიწოდება აზრებისა და შეხედულებებისა არის ერთერთი უძვირფასესი უფლება ადამიანისა. ამგვარად ყოველ ადამიანს შეუძლია თავისუფლად წეროს, ილაპარაკოს და დაბეჭდოს..."

IV.

26 მაისი - ჯერ ერთი - 4 ივლისისა და 14 ივლისის, ასე ვთქვათ, "შეჯამებაა", ვინაიდან 26 მაისი არის არა მარტო უცხო კოლონიური უღლისაგან განთავისუფლების დღე, არამედ ამასთანავე ქართველი ე რ ი ს ეროვნული თავისუფლების დღეც; და - მეორე -, არანაკლებ მნიშვნელოვანი, 26 მაისია ქართული დემოკრატიის, ქართული სოციალური დემოკრატიის დაბადების დღეც, რომელსაც, როგორც ცნობილია, საფუძველი ჩაეყარა "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამაში, 1893 წელს, რომელშიც სხვათა შორის, ნათქვამია:"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა".

V.

ამდენად, ჩვენი ეროვნული დღესასწაული - 26 მაისი - თავისთავში აქცევს ქართველი ერისა და - მას ზევით - 4 ივლისისა და 14 ივლისის საკაცობრიო მნიშვნელობის მოძღვრებას, როცა ერის თავისუფლებას, პიროვნების, ადამიანის თავისუფლებას სოციალურ თავისუფლებას უკავშირებს და ამით ქართული დემოკრატიის, ქართული სოციალური დემოკრატიის სიმბოლოც სდება. აქედან გამომდინარე, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ქართული სოციალური დემოკრატია არის დემოკრატიის უმაღლესი ფორმა საერთოდ.

VI.

უთუოთ, ამ ფაქტმა - 26 მაისმა - მისცა საბაბი ინგლისის პრემიერ-მინისტრს რამსეი მაკდონალდს ეთქვა:
"თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, თუ რომელიმე ერს ეკუთვნის თავისუფლება, ეს არის ქართველი ერი, რომელმაც მთელ კაცობრიობას დაუმტკიცა თავისი მაღალი კულტუროსნობა და პოლიტიკური სიმწიფე"(გაზეთი"ნეიშენ",16.10.1920 წ.).

VII.

ეს სიტყვები თქვა ქართველი ერის ამ დიდმა მეგობარმა დამოუკიდებელი საქართველოში მოგზაურობის დროს 1920 წელში; და, ერთი წლის შემდეგ, თავისუფალი საქართველო ისევ მოექცა უცხო ბატონობის ქვეშ, რაც გრძელდება დღემდე, რის შედეგია ის, რომ 26 მაისს, ქართველი ერის, საქართველოს ეროვნულ დღესასწაულს, ავღნიშნავთ უცხოეთში, პოლიტიკურ ლტოლვილობაში, პარიზში, "ძმობა,ერთობა,თავისუფლების" დედა-ქალაქში. და რა შეგვიძლია ვუსურვოთ ჩვენს თავს, ე.ი. საქართველოს, ქართველ ერს დღეს, 26 მაისის სამოცდა-მერვე წლისთავზე?..

მოვიგონოთ, რომ ქართველ ერში ყოველთვის დიდი სიმპათიით და თანაგრძნობით სარგებლობდაყოველი დაჩაგრული ერი, რომელიც ეროვნული თავისუფლებისათვის იბრძოდა თუ იბრძვის. ირლანდიელი, პოლონელი თუ ფინელი ერის ბრძოლას თავისუფლებისათვის საკუთარი ეროვნული თავისუფ-

ლებისათვის ბრძოლად მიიჩნევდა ჩვენი ხალხი; და ამგვარი მგზნებარე მისწრაფება ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენობისაკენ, როგორც ამას ქართული თვითგამოცემის დოკუმენტებიც ნათელჰყოფენ, სუფევს დღე-საც საქართველოში, ქართველ ერში, რის მაგალითებათ, სხვათა შორის, შეგვიძლია მოვიყვანოთ 1956 წლის 9 მარტის თბილისის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მასობრივი დემონსტრაცია, რაც სისხლში იქნა ჩახ-რჩობილი, თუ 1978 წლის 14 აპრილის მასობრივი დემონსტრაცია ქართული ენის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის, დაცვის მიზნით.

VIII.

და ავღნიშნავთ რა დღეს, 1986 წლის 26 მაისს, ჩვენი ამ დიდი ეროვნულ დღესასწაულის სამოცდა-მერვე წლისთავს, მოდი,ყოველი ჩვენთაგანის ეროვნული ბრძოლის, ეროვნული თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ბრძოლის ლოზუნგი დარჩეს დიდი ილიას სიტყვები -"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". და დიდ ილიასთან ერთად მოვიგონოთ დიდი ირლანდიელი და, მას ზევით, მსოფლიო მწერლის ჯეიმს ჯოისის სიტყვები:
"როცა ჩემი ქვეყანა მის ადგილს დაიკავებს...მსოფლიო ერებს შორის... მაშინ და არა მანამდე...დაე ჩემი ეპიტაფია იყოს...დაწერილი...მე განვასხორციელე".("ულისე").

IX.

და მართლაც, ირლანდია, პოლონეთი თუ ფინეთი დღეს საერთაშორისო ასპა-რეზზე გამოსულია და,ჯოისის აღნიშნული სიტყვები რომ გავიმეოროთ, მათ მსოფლიო ერებს შორის თავიანთი ადგილი, მეტ-ნაკლებად, დაიკავეს. მაგ-რამ საქართველო, ქართველი ერი? - ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ "ძმობა-ერ-თობა-თავისუფლების" იდეები,იარაღის ძალით,შეჩერებულ იქნას საქართვე-ლოს საზღვრებთან. ამდენად ღრმა რწმენით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია. ამ რწმენით მოგილოცავთ ჩვენი ეროვნული დღესასწაულის სამოცდა-მერვე წლისთავს!..
დიდება 26 მაისს!..
დიდება საქართველოს!..
დიდება ქართველ ერს!..

კარლო ინასარიძე
პარიზი,26 მაისი,1986 წელი

"...ყოველ ხალხს მუდამ აქვს უფლება სრუ-ლი თავისუფლების პირობებში განსაზღვროს საშინაო და საგარეო პოლიტიკური სტატუსი გარედან ჩაურევლად."

ევროპაში უშიშროებისა და თა-ნამშრომლობის თათბირის დასკ-ვნითი აქტი.(1975 წ.).

ქართული
ეროვნული საბჭო

Conseil National Géorgien

CHATEAU DE LEUVILLE
IO, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
F R A N C E
Tel. 60 - 84 - 61 - 51

# მ ო ს ა წ ვ ე ვ ი   ბ ა რ ა თ ი

ქალბატონ, ბატონ..............................

1986 წლის 27 აპრილს, კვირას, 16 საათზე, წმინდა ნინოს ქართულ ეკლესიაში, პარიზში, მოწვეულია ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობა. გ თ ხ ო ვ თ   დ ა ე ს წ რ ო თ.

**დღის წესრიგი:**

1.ყრილობის გახსნა.
2.ეროვნული საბჭო დღეს(მოხსენება).
3.ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები.
4.მიმდინარე საკითხები.

ქართული სალამითა და პატივისცემით

ნიკო ურუშაძე

ვალიკო ჩუბინიძე

პარიზი,1986 წლის აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩ ვ ე ნ ი   მ ი ზ ა ნ ი

"ჩვენ ვართ მებრძოლი ეროვნული ორგანიზაცია. მიზანი ჩვენი გარკვეულია და უდავო. საბჭოთა რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლება და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენა." ასეა ნათქვამი, სხვათა შორის, ქართული ეროვნული საბჭოს ორგანოს "მებრძოლი საქართველოს" პირველ ნომერში, რომელიც გამოვიდა 1952 წლის იანვარში; და ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭიროა ყველა ეროვნული პოლიტიკური პარტიის, დაჯგუფების თუ უპარტიოთა გაერთიანება, რომ ჩვენც, ემიგრაციაში მცხოვრებლებმაც ხელი შეუწყოთ "26 მაისის იდეის" განხორციელებას, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ აღდგენას, როგორც ეს იყო 1918-1921 წლებში.

ამ მიზნით მოწვეულ იქნა ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობა, რომელიც ჩატარდა პარიზში, 1986 წლის 27 აპრილს, და რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის, უპარტიოების დელეგატებმა მანდატებით თუ პიროვნულად, პარიზიდან, ლევილიდან, ხოშიდან, ლონდონიდან, ნიუ-იორკიდან და მიუნხენიდან. საბჭოს მეოთხე ყრილობის მასალები - "რეზოლუცია", "ეროვნული საბჭო დღეს", "ქართული ეროვნული საბჭოს წესდება", ყრილობის ანგარიში და სხვა მასალები ქვეყნდება "მებრძოლი საქართველოს" ამ ნომერში, რითაც, ამასთანავე, ნათელი ხდება, რომ ყველა პარტიას, ე.ი. საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიასაც, ყველა დაჯგუფებას და ყველა პირს, რომლებიც დგანან "26 მაისის" პოზიციაზე, ჩვენ ვუწოდებთ ხელს ძმურად და მოვუწოდებთ გაერთიანდენ ჩვენს რიგებში", რომ ერთიანი ძალით ხელი შევუწყოთ "26 მაისის იდეის" ცხოვრებაში გატარებას. ჩვენ ვიცით, რომ ქართული ყოველი დემოკრატიული პარტია და დაჯგუფება, ყოველი დემოკრატი დგას "26 მაისის" პოზიციაზე, ე.ი. ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენის საქმეში ერთი აზრის ვართ. განსხვავებაა მხოლოდ ამ მიზნის განხორციელების გზებში. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ შეუძლებელია ამგვარი ტაქტიკური ერთობის მიღწევა თუ ყველა მოქმედების ცენტრში დააყენებს არა იმას, რაც ჩვენ გვთიშავს, არამედ იმას, რაც ჩვენ გვაერთებს.

ჩვენ გვაერთიანებს იმის რწმენა, რომ დემოკრატია არის ყველაზე უფრო მისაღები ფორმა სახელმწიფოებრივი წესყობილებისა თანამედროვე მსოფლიოში. ჩვენ გვაერთიანებს იმის რწმენა, რომ ერისა და პიროვნების თავისუფლება განუყოფელია, როგორც ეს განხორციელდა საქართველოში 1918 წლის 26 მაისს. ჩვენ გვაერთიანებს აგრეთვე იმის რწმენა, რომ ყველა ერი უნდა იყოს თავის-უფალი, და ამ იდეების განხორციელების საქმეში ჩვენი ერის ბედი გადაჯაჭვულია დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებთან, რომელთან თანამშრომლობის გზები უნდა გამონახოს ხწორედ ეროვნულმა საბჭომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ ჩვენ, როგორი მცირერიცხოვანიც არ უნდა ვიყოთ, არ გვაქვს უფლება და არც გვსურს ქედი მოვიხაროთ საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის, ქართველი ერის თავისუფლების მტრების წინაშე. დროა ხელი ავიღოთ ყოველი ჯურის დაქსაქსულობის, სექტანტურ, კუთხურ პოლიტიკაზე, რომელმაც განსაცდელის პირას მიიყვანა საქართველო, ქართველი ხალხი განსაკუთრებით მე-16-მე-19 საუკუნეებში. დავეყრდნოთ ჩვენი ხალხის ეროვნულ ძალებს და განვაგრძოთ ჩვენ დიდ წინაპართა ეროვნული დამოუკიდებელი პოლიტიკა, რომლის დედა-აზრი იყო, არის და უნდა დარჩეს, საქართველოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს ბაზაზე, კავკასიის კონფედერაციის შექმნა აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიელთა დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოებთან ერთად. კავკასიის კონფედერაციული სახელმწიფო კი უნდა გახდეს მშვიდობისა და სტაბილურობის ფაქტორი მთელს ამ რეგიონში, რაც, უდავოა, ესიტყვება ჩვენი დიდი მეზობლების - რუსეთის, სპარსეთისა და თურქეთის - საგარეო პოლიტიკურ მიზნებსაც, თუ მათ არ სურთ უგულებელყონ ერისა და პიროვნების საერთოდ-აღიარებული ჰუმანიტარული პრინციპი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი ჯურის იმპერიალიზმი ისტორიას ჩაბარდა. დარჩა მხოლოდ საბჭოთა იმპერია, რომელიც უკვე შერყეულია, მაგრამ მაინც განაგრძობს ბატონობას ჩვენს ქვეყანაშიც, თუმცა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ არც ერთ ერს, როგორი მრავალრიცხოვანი და ძლიერი არ უნდა იყოს იგი, უფლება არ აქვს იბატონოს სხვა ერზე, როგორი მცირერიცხოვანი და სუსტი არ უნდა იყოს იგი. ამ საერთაშორისოდ აღიარებული დებულების შედეგია ის, რომ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აფრიკის, აზიის თუ ლათინური ამერიკის მრავალმა ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა და სუვერენობა; და განა საქართველო, ქართველი ერიც არ უნდა გამოვიდეს საერთაშორისო ასპარეზზე და არ უნდა ჩადგეს მსოფლიო ერთა რიგებში?.. ამიტომ ყოველი ქართული პოლიტიკური პარტია თუ დაჯგუფება, ყოველი ქართველი, სადაც არ უნდა იყოს იგი, უნდა ჩაებას ეროვნული თავისუფლებისათვის ამგვარ ბრძოლაში.

მაშ, ძვირფასო მეგობრებო, გავერთიანდეთ ამ დიადი ეროვნული დროშის ქვეშ, რომ ჩვენც, პოლიტიკურმა ემიგრაციამ, ხელი შევუწყოთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენას და ამით ჩვენი ეროვნული თავის-უფლების განხორციელებას!..

პარიზი, 1986 წლის 27 აპრილი

"დემოკრატიის ძირითადი პრინციპია: ადამიანი და მისი სუვერენობა".

# ა ნ გ ა რ ი შ ი

## ქართული ეროვნული საბჭოს IV ყრილობისა

## პარიზი, 1986 წლის 27 აპრილი

1986 წლის 27 აპრილს, პარიზში, წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის დარბაზში, ჩატარდა ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობა, რომელზედაც მოწვეულ იქნა საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისა და უპარტიოთა დელეგატები - პირადად თუ მანდატებით - პარიზიდან, სოშოდან, ნიუ-იორკიდან, ლონდონიდან, ლევილიდან და მიუნხენიდან. ყრილობის სულ 21 დელეგატიდან, სამანდატო კომისიის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ყრილობას -პირადად თუ მანდატებით - ესწრება 16 დელეგატი, ე.ი. დიდი უმრავლესობა, რის შედეგად ყრილობა გახსნა ქართული ემიგრაციის უხუცესმა და საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის დამსახურებულმა მოღვაწემ, საზღვარგარეთული ბიუროს თავჯდომარემ - ბატონმა <u>ვალიკო ჩუბინიძემ</u>. მან მოკლედ ილაპარაკა ქართული ეროვნული საბჭოს წარსულზე, და აღნიშნა, რომ ქართული ეროვნული საბჭოს პირველი ყრილობა ჩატარდა 1952 წლის 20-21 ოქტომბერს პარიზში, მეორე ყრილობა ჩატარდა 1952 წლის 4 ოქტომბერს, პარიზში, ხოლო ქართული ეროვნული საბჭოს მესამე ყრილობა ჩატარდა 1954 წლის გაზაფხულზე, ლევილში. 1978 წლის 9 სექტემბერს გარდაიცვალა ქართული ეროვნული საბჭოს თავჯდომარე - ნოე ცინცაძე, და ამ დღიდან დაწყებული, სხვადასხვა მიზეზების გამო, შეუძლებელი გახდა ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობის მოწვევა. ბატონმა <u>ვალიკო ჩუბინიძემ</u> აღნიშნა აგრეთვე, რომ ქართული ეროვნული საბჭოს მამოძრავებელი ძალა ყოველთვის იყო საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რომელთან ერთად თავს იყრიდა და იყრის სხვა პოლიტიკური დაჯგუფებები თუ უპარტიოები.

ქართული სათვისტომოს თავჯდომარემ - <u>თამაზ ნასყიდაშვილმა</u>, რომელიც როგორც საპატიო სტუმარი, მოწვეული იყო ქართული ეროვნული საბჭოს ყრილობაზე, წაიკითხა ყრილობის ოთხი დელეგატის წერილი, რომელშიც ისინი მოითხოვდენ უკვე მოწვეული ყრილობის გადადებას, მისი გაფართოების მიზნით. ყრილობის დელეგატებმა იმსჯელეს დელეგატთა აღნიშნული წინადადების ირგვლივ და ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ქართული ეროვნული საბჭოს ახალმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოჰყოს კომისია, სამი კაცის შემადგენლობით, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიასთან და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცალკეულ პირებთან ქართულ ეროვნულ საბჭოში გაერთიანების მიზნით, რომლის დროს, გასაგებია, ეროვნულ საბჭოში შემომსვლელთა ყოველი წინადადება და სურვილი მთელი სერიოზულობით და აზრთა შეთანხმების მიღწევის მიზნით იქნება წარმოებული.

შემდეგ, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენლის უცხოეთში - ბატონ ნიკო ურუშაძის - მიმართვა ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობისადმი - წაკითხულ იქნა ყრილობაზე. "იმ ერს, რომელმაც წარმოშვა ისეთი მისთანა თავდადებული შვილები, - ნათქვამია ბატონ ნიკო ურუშაძის მიმართვაში -, როგორიც იყვნენ ქართველი ერის სულიერი მამა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი - ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ევგენი გეგეჭკორი და ნოე რამიშვილი; პოლიტიკურ-ფილოსოფიური სკოლის ფუძემდებელი - არჩილ ჯორჯაძე და მისი მეგობრები გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე, გიორგი ლეკანოზიშვილი, სამსონ ფირცხალავა და სიმონ მდივანი; სხივოსანი კოტე აფხაზი და ლეგენდარული ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, - ასეთ ერს სიკვდილი არ უწერია. მცირე-რიცხოვანი და ფიზიკურად სუსტ დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად. ქართულ ეროვნულ საბჭოს ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა აწევს. ამ მოვალეობის ასრულებას ის შესძლებს თუ მიზნად დაისახავს დაქსაქსულ ქართულ ძალების შემოკრებას, მათთან საერთო ენის გამონახვას".

"ვინაიდან ჩემი ჯანმრთელობა არ მაძლევს საშუალებას პირდაპირ მივიღო მონაწილეობა ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობის მუშაობაში, რომლის ერთერთი ორგანიზატორი და აქტიური დამაარსებელთაგანი პირველი დღიდან მე ვიყავი, გამოვთქვამ დიდ მწუხარებას, მაგრამ ყრილობის მოწვევა...აუცილებელ საჭიროდ მიმაჩნია". "საუკეთესო სურვილებით და ყრილობის კარგი შედეგების მოლოდინში, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელი უცხოეთში - ნიკო ურუშაძე".

აღნიშნული განცხადებების შემდეგ, ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობამ განაგრძო თავის მუშაობა, რომლის დროს, ყრილობის დღის წესრიგის შესაბამისად, ყრილობის თავჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი ვალიკო ჩუბინიძე, თავჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა ბატონი თათრახან ანთაძე, ხოლო ყრილობის მდივნად არჩეულ იქნა ბატონი მამია ზერიშვილი.

"ეროვნული საბჭო დღეს", "ჩვენი მიზანი", "ქართული ეროვნული საბჭოს წესდება", "ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობის რეზოლუციაი საკითხები, რომელზედაც თავიანთი აზრი გამოთქვეს ბატონებმა - აკაკი რამიშვილმა, მამია ზერიშვილმა, გრიშა ლომაძემ, კარლო ინასარიძემ, ქალბატონმა ნინო რამიშვილმა, ბატონმა თათრახან ანთაძემ და სხვებმა. სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე ბატონმა გიორგი წერეთელმა, როგორც საპატიო სტუმარმა და აღნიშნა, რომ პოლიტიკური ემიგრაციის ყველა პარტიისა და დაჯგუფების, ყველა ძალების გაერთიანებაა საჭირო, და ამგვარი ერთობის მიღწევისაკენ უნდა იქნას გადადგმული ნაბიჯები.

ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობა შემდეგ შეუდგა აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევას. ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობამ აღმასრულებელ კომიტეტში, ერთხმად, აირჩია შემდეგი პირები:

1. ბატონი ვალიკო ჩუბინიძე
2. ბატონი თათრახან ანთაძე
3. ბატონი გრიშა ლომაძე
4. ბატონი აკაკი რამიშვილი
5. ბატონი შალიკო თაყაიშვილი
6. ბატონი მამია ზერიშვილი
7. ბატონი ნიკო ზედელაძე
8. ბატონი კიტა რიყამაძე
9. ბატონი კარლო ინასარიძე.

ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატათ არჩეულ იქნა ქალბატონი ნინო რამიშვილი.

ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობამ აირჩია აგრეთვე სპეციალური კომისია - სამი კაცის შემადგენლობით -, რომელიც მოლაპარაკებებს აწარმოებს ქართული ემიგრაციის ყველა დაჯგუფება და პირთან, ქართულ ეროვნულ საბჭოში გაერთიანების მიზნით. კომისიის წევრებად ყრილობამ აირჩია შემდეგი პირები: ბატონები თათრახან ანთაძე, გრიშა ლომაძე და შალვა თაყაიშვილი.
ამის შემდეგ ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობის თავჯდომარემ ვალიკო ჩუბინიძემ ყრილობა დახურულად გამოაცხადა.

---

1986 წლის 27 აპრილს, კვირას, ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობის დამთავრების შემდეგ, შედგა ქართული ეროვნული საბჭოს ახლად-არჩეული აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სხდომა, რომელიც გახსნა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის უხუცესმა მოღვაწემ - ვალიკო ჩუბინიძემ.
აღმასრულებელმა კომიტეტმა ქართული ეროვნული საბჭოს თავჯდომარედ აირჩია ბატონი კარლო ინასარიძე; ქართული ეროვნული საბჭოს თავჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა ბატონი თათრახან ანთაძე. ქართული ეროვნული საბჭოს მდივნად კი არჩეულ იქნა ბატონი მამია ზერიშვილი.

---

1986 წლის 29 აპრილს, პარიზში, შედგა ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხები:
ქართული ეროვნული საბჭოს წესდების შესაბამისად, ეროვნული საბჭოს საშინაო საქმეების გამგებლობა დაეკისრა ბატონ თათრახან ანთაძეს, ეროვნული საბჭოს საგარეო საქმეების გამგებლობა კი დაეკისრა ბატონ აკაკი რამიშვილს. ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალურ წარმომადგენლებად დანიშნულ იქნენ:
1. ამერიკის შეერთებულ შტატებში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში - პროფესორი გიორგი ნაკაშიძე და ბატონი ისიდორ გაყონია,
2. დიდ ბრიტანეთში (ლონდონი) და დასავლეთ ევროპის საერთო ბაზრის ორგანიზაციაში (ბრიუსელი) - ბატონი აკაკი რამიშვილი,
3. სომხის საზოგადოებაში (საფრანგეთი) - ბატონი გრიგოლ ქვარცხავა,

4.გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში - ბატონი კარლო ინასარიძე,
5.საფრანგეთში და საფრანგეთის ქართულ საზოგადოებაში - ბატონი გრიშა ლომაძე.

ქართული ეროვნული საბჭოს პერიოდული ორგანოს -"მებრძოლი საქართველოს" დირექტორად არჩეულ იქნა ბატონი შალვა თაყაიშვილი.
ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თხოვს აღნიშნულ პირებს დაუყონებლივ შეუდგენ მათი ფუნქციის შესრულებას და შეიმუშაონ მოქმედების ხაზი "ქართული საკითხის" წამოჭრა-პოპულარიზაციის მიზნით აღნიშნული ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნული საბჭო დღეს

## ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობა

## პარიზი, 1986 წლის 27 აპრილი

### I.

ქართულ ეროვნულ საბჭოს უკვე თითქმის სამი-მეოთხედი საუკუნის ისტორია გააჩნია. იგი აღმოცენდა ჩვენი ერის გულიდან და საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური მრწამსის გამომხატველი ორგანო გახდა. და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მსოფლიოს მრავალმა დაპყრობილმა ერმა მხოლოდ ახლახან მოჰკიდა ხელი ანალოგიური ორგანოების შექმნას, მაშინ ქართველ ერს, უთუოთ, შეუძლია იამაყოს.

რა მიზანს ემსახურებოდა ეროვნული საბჭო? - საქართველოს ეროვნული საბჭოს პოლიტიკური მოღვაწეობის საბოლოო მიზანი იყო, არის და, უდავოა, დარჩება "26 მაისის იდეის", ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-განხორციელება. ამ დიადი დროშის ქვეშ იდგა და დგას ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, რომელთა სახელითა და უფლებამოსილებით საქართველოს მეოთხე ეროვნული საბჭოს ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის("მესამე დასის"), სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის, პოლიტიკურ დაჯგუფებათა და "უპარტიოთა" წარმომადგენლებმა, და მოუწოდებსპოლიტიკური ემიგრაციის ყველა პარტია-დაჯგუფებას - გაერთიანდენ "26 მაისის" ეროვნული დროშის ქვეშ, რომ ერთიანი ძალით ხელი შეუწყოთ ერთიანი და განუყოფელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისევ-აღდგენას, როგორც იგი არსებობდა 1918-1921 წლებში. ეროვნული საბჭოს ამგვარ პოლიტიკურ მიზანდასახულობას აყალიბებს ეროვნული საბჭოს მთელი ისტორია, მისი პრაქტიკული მოღვაწეობა:

### II.

საქართველოს ეროვნული საბჭო წარმოიშვა, შეიქმნა 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციისა და იმავე წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ. 1917 წლის 19 ნოემბერს, როგორც ცნობილია, მოწვეულ იქნა საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელმაც 22 ნოემბერს აირჩია ეროვნული საბჭო. საქართველოს ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა

88 წევრი - საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიიდან 51-ი დელეგატი; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან - 11-ი კაცი; საქართველოს ეროვნულდემოკრატიული პარტიიდან - 10-ი დელეგატი; რადიკალ-დემოკრატებმა ეროვნულ საბჭოში წარგზავნეს 1-ი კაცი; უპარტიოებმა - 2-ი კაცი და ე.წ-დ "ალიონისტების პოლიტიკურმა დაჯგუფებამ ეროვნულ საბჭოში წარგზავნა 4-ი კაცი. საქართველოს ეროვნული საბჭო შევსებულ იქნა აგრეთვე საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით. საქართველოს ეროვნული საბჭოს თავჯდომარედ კი არჩეულ იქნა ნოე ჟორდანია.

III.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მოღვაწეობის უმაღლესი წერტილია 1918 წლის 26 მაისი, როცა ეროვნული საბჭოს თავჯდომარემ, ქართველი ერის სახელით, თბილისში, მთავრობის სასახლეში გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა, და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით საქართველოს სახელმწიფო ისევ-გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ე.ი. მსოფლიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიგებში ჩადგა, როგორც "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა". ამ დიდი ისტორიული აქტით, მოსალოდნელი იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს მთელი ფუნქციის საქართველოს მთავრობაზე გადასვლა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რაც დიდ პოლიტიკურ მოქნილობას მოითხოვდა; და ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ამგვარი პოლიტიკური სიბრძნე გამოიჩინა საქართველოს ეროვნული საბჭოს თავჯდომარემ ნოე ჟორდანიამ, როცა ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა მჭიდროთ დაუკავშირა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენას და საქართველოს იმდროინდელი შინაგანი ძალების ისეთ გაწონასწორებას, რომ - საბჭოთა რუსეთისაგან განსხვავებით - საქართველომ, ქართველმა ერმა თავიდან აიცილა სამოქალაქო ომი და მშვიდობიანი ცხოვრების აღდგენის გზას დაადგა.

IV.

საქართველოს დემოკრატიული პარტიების ამგვარი პოლიტიკური საზის განსაზღვრა მოცემულია თვით "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში",

რომელიც,საქართველოს ყველა დემოკრატიული პარტიისა და დაჯგუფების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით და საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის საპატრიარქოს წარმომადგენლების თანხმობით, გამოაცხადა ეროვნული საბჭოს თავჯდომარემ ნოე ჟორდანიამ - 1918 წლის 26 მაისს. ეროვნული საბჭოს შესახებ"საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში," სხვათა შორის, ვკითხულობთ:

V.

"მრავალი საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო." "ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წელს, ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2)დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა არის".

VI.

მე-7-ე მუხლში კი,ეროვნული საბჭოს შესახებ ნათქვამია:

"დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე".

ამგვარად დამოუკიდებელი საქართველოს დროებითი მთავრობა, საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, პასუხისმგებელი იყო ეროვნული საბჭოს წინაშე.

VII.

და ეროვნული საბჭოს მოქმედება რომ ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის ნება-სურვილს ეყრდნობოდა, ეს დაადასტურა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებმა, რომლის შესახებ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შესავალში ვკითხულობთ:

"საქართველოს დამფუძნებელი კრება, - არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, - ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აცხადებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1918 წლის მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთს ტფილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის... აქტს".

VIII.

აი, ის დიდი და მაგალითის მომცემი დამსახურება საქართველოს ეროვნული საბჭოსა, რომელმაც შეგვიქმნა, ისევ-აღვიდგინა ერთიანი და განუყოფელი საქართველოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, და საქართველო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ისევ გამოვიდა საერთაშორისო არენაზე. მაგრამ საბჭოთა რუსეთმა - ჯერ - 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულებით იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა დე ფაქტო და დე იურე, ე.ი.ფაქტიურად და იურიდიულად, მაგრამ შემდეგ, ლენინის მთავრობამ დაარღვია საბჭოთა რუსეთ- საქართველოს აღნიშნული ხელშეკრულება და იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო. მაგრამ,საბჭოთა რუსეთის 1921 წლის თებერვალ-მარტის ძალადობის აქტით, საქართველოს დამოუკიდებლობა მოისპობილ იქნა ფაქტიურად, ხოლო იურიდიულად საქართველო დღესაც განაგრძობს არსებობას, და ფაქტიურადაც მაშინ გახდება დამოუკიდებელი და სუვერენული, როცა მოისხნება ეს ძალადობის აქტი.

IX.

და ამისათვის იბრძოდა და იბრძვის საქართველო, ჩვენი ქართველი ხალხი, თუმცა საქართველოს ეროვნული მთავრობა,-საქართველოს დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებითა და დავალებით, დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის დღიდან, ე.ი.1921 წლის 17 მარტიდან, როცა საქართველოს მთავრობამ დატოვა საქართველოს ტერიტორია,-უცხოეთიდან იბრძოდა 26 მაისის დიადი იდეის ისევ-განხორციელებისათვის, ე.ი.საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენისათვის. და ეროვნული საბჭო ისევ გახდა ქართული პოლიტიკური ძალების შემაერთებელი ორგანო, როცა ამისი შესაფერი საერთაშორისო პირობები შეიქმნა, და დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ, ნოე ჟორდანიას თავჯდომარეობით, აქ, საფრანგეთის დე-

დაქალაქში,-"ძმობა, ერთობა, თავისუფლების" მსოფლიო ცენტრში, - გადაწყვიტა საქართველოს ეროვნული საბჭოს მოღვაწეობის განახლება, რომ არა მარტო ემიგრაციის ყველა მიმართულების პარტიას, დაჯგუფებას თუ ცალკეულ პირებს შეექმნათ ერთიანი ფრონტი 26 მაისის იდეის იხევ-განხორციელებისათვის.

X.

დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობისა და საქართველოს ეროვნული მთავრობის პარიზში დაბინავების შემდეგაც, წარმოებდა მოლაპარაკებები საქართველოს პოლიტიკურ პარტიებსა და დაჯგუფებებს შორის საერთო ეროვნული პოლიტიკური ცენტრის შექმნის შესახებ.

1922 წლის მარტში, მაგალითად, პარიზში, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავჯდომარის - კარლო ჩხეიძის - თავჯდომარეობით, შედგა გაერთიანებული კონფერენცია, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო სამმა პოლიტიკურმა პარტიამ: სოციალდემოკრატიულმა პარტიამ, დემოკრატიულმა პარტიამ და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ.

საერთო ფრონტი არსებობდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, სანამ საფრანგეთის ოკუპაცია მოხდებოდა. ქართული ეროვნული ფრონტის მოქმედება შეწყდა მხოლოდ ოკუპაციის დროს, ე.ი. როცა საფრანგეთი დაიპყრო პიტლერის ჯარებმა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ, სათანადო დეკლარაციით, მიმართა პოლიტიკურ პარტიათა და დაჯგუფებათა წარმომადგენლებს ერთიანი პოლიტიკური ფრონტის აღდგენის მიზნით. ამ საქმეს თავჯდომარეობდა პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი. ეროვნული ფრონტის შექმნისა და მთავრობასთან თანამშრომლობის აქტიური მონაწილეები იყვნენ დავით სხირტლაძე, ივ.ზურაბიშვილი-და-გიორგი გვაზავა ეროვ.დემ.პარტიიდან, სოსო მდივანი, სოციალისტ-ფედერალისტი, საქართველოს ელჩი თურქეთში, და ილია ნუცუბიძე სოციალისტ-რევოლუციონერი.

ეროვნული საბჭოს პირველი ყრილობა ჩატარდა 1951 წლის 20-21 ოქტომბერს, პარიზში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოციალდემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიებმა, "თეთრი გიორგის" ორგანიზაციამ და სხვა პოლიტიკურმა დაჯგუფებებმა.

ეროვნული საბჭოს მეორე ყრილობა ჩატარდა 1952 წლის 4

ოქტომბერს, რომელიც სამი დღე გაგრძელდა.

ქართული ეროვნული საბჭოს მესამე ყრილობა კი ჩატარდა 1954 წლის გაზაფხულზე, ლევილში.

XI.

განსაკუთრებული მნიშვნელობის გახდა ეროვნული საბჭოს მეორე ყრილობა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ჩატარდა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში 1952 წელს და რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის, "თეთრი გიორგის", ახალი თაობის დემოკრატიული გაერთიანების და სხვა პოლიტიკური დაჯგუფების დელეგატებმა. საქართველოს მთავრობის დავალებით კი, საქართველოს ეროვნული საბჭოს მეორე ყრილობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა - ევგენი გეგეჭკორმა. ეროვნული საბჭოს გახსნას პირადად მიესალმა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე და საქართველოს პრეზიდენტი ნოე ჟორდანია, რომელმაც თავის მოკლე მისასალმებელ სიტყვაში, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ "ცოტა ილაპარაკეთ და ბევრი გააკეთეთ", რის შემდეგ მან წარმატება უსურვა ეროვნული საბჭოს ყრილობას და, დამსწრეთა ტაშის გრიალში, დატოვა სხდომათა დარბაზი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მეორე ყრილობა გაგრძელდა სულ სამი დღე, რომელსაც ესწრებოდა ცხრა დაპყრობილ ერთა წარმომადგენლები. ეროვნული საბჭოს ყრილობამ აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი ცხრა კაცის შემადგენლობით.

XII.

ეროვნული საბჭოს ყრილობის მიერ არჩეულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გააჩაღა მუშაობა როგორც საშინაო, ისე საგარეო სფეროში. საშინაო სფეროში ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ცდილობდა ყველა პოლიტიკური პარტიისა და დაჯგუფების, ყველა პირის ერთიან ეროვნულ ფრონტში გაერთიანებას. საგარეო სფეროში კი ცდილობდა ამიერკავკასიის, მთელი კავკასიის და, საერთოდ, საბჭოთა კავშირში მოქცეული ყველა დაჩაგრული ერისა და ეროვნების საერთო ფრონტში გაერთიანებას თვით რუსი ერის დე-

მოკრატიული ძალების ჩათვლით. და ამ მეტად რთული ამოცანის გადაწყვეტაში დიდი როლი ითამაშეს საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა და საქართველოს ეროვნული საბჭოს წარმომადგენელმა ამერიკის შეერთებული შტატების ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკულ კომიტეტთან, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრმა - ნოე ცინცაძემ, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელმა - ნიკო ურუშაძემ, ახალი თაობის დემოკრატიული გაერთიანების თავჯდომარემ გიორგი წერეთელმა, და სხვებმა, რასაც მოყვა შეთანხმება - ერთი მხრივ - საბჭოთა კავშირის დაჩაგრულ ერების წარმომადგენლებსა და - მეორე მხრივ - ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკულ კომიტეტს შორის, რის შედეგად დაჩაგრული ერების წარმომადგენლები და ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკული კომიტეტის წარმომადგენლები გახდენ თანასწორუფლებიანი პარტნიორები, რასაც მოყვა რადიო "განთავისუფლების" ჩამოყალიბება 1952 წლის ბოლოს. 1953 წლის 17 აპრილს კი მუშაობა დაიწყო რადიო"განთავისუფლების" ქართულმა რედაქციამ და ამით ეთერში გაისმა თავისუფალი ქართული სიტყვა.

XIII.

აქ ერთი ეპიზოდი, რომელიც ნათელყოფს თუ როგორი პრინციპულობით და ეროვნული შეგნებით წარმოებდა მოლაპარაკებები ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკულიკომიტეტისა და ეროვნული საბჭოსა და ამით დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებს შორის: ქართული ეროვნული დელეგაციის წევრმა, დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, რადიო "განთავისუფლების" დამაარსებელმა და მთავარმა რედაქტორმა - რაჟდენ (მიშა) არსენიძემ,-როცა ზოგიერთებმა "თანასწორუფლებიანობის" და "პარტნიორობის" პრინციპის მიჩქმალვას შეეცადენ, - საჯაროდ განაცხადა, რომ ის მეორე მსოფლიო ომის დროს ძროხებს წყესავდა, რათა თავი აერიდებინა ფაშიზმთან რაიმე კავშირის დამყარების შესაძლებლობისგანაც კი, და ახლა - თავისუფლებისა და დემოკრატიის პირობებში - თუ ვინმე შეეცდება ორ პარტნიორს - ამერიკულ კომიტეტსა და დაჩაგრულ ერთა წარმო-

მადგენლებს - შორის "თანასწორუფლებიანობის" პრინციპის შებღალვა-მი-ჩქმალვაც, ის ისევ მზადაა ასეთ პოლიტიკურ კურსს ისევ ძროხების წყე-ხვა ამჯობინოს.

XIV.

და, მართლაც, საბოლოოდ მიღებულ იქნა თანასწორუფლებიანობისა და პარ-ტნიორობის პრინციპი ამერიკულ კომიტეტსა და დაჩაგრულ ერთა წარმომად-გენლებს შორის, რომლის საყრდენი გახდა ე.წ-ლი "პარიზის ბლოკი", რო-მელშიც გაერთიანებული იყვნენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, მთიელების, უკრაინის, ბელორუსიის, "იდელ-ურალის", კაზაკების თუ თურქესტანელების დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "პარიზის ბლოკის" უცვლელი თავჯდომარე გახდა ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრი - ნოე ცინცაძე, რომელმაც, საერთოდ, დიდი როლი ითა-მაშა ამერიკულ-კომიტეტისა და დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებს შორის პოლიტიკური მოლაპარაკებების დროს, რასაც მოყვა არა მარტო რადიო "განთავისუფლების" დაარსება, არამედ, მას მევით, დაჩაგრულ ხალხთა საერთო ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნაც.

XV.

საბჭოთა კავშირის დაჩაგრული ერების წარმომადგენლებისა და ბოლშევი-ზმისაგან განთავისუფლების ამერიკულ კომიტეტს შორის თანამშრომლობის განვითარება-გაძლიერების დასაბამი მისცა ამერიკის შეერთებული შტატე-ბის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის - დინ აჩესონის, თუ გნებავთ "მიმართვამ ქართველი ხალხისადმი", რომელიც მან წარმოსთქვა რადიო "ამე-რიკის ხმის" ქართული რედაქციის გახსნაზე, 1951 წლის 26 მაისს, საქარ-თველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 33-ე წლისთავზე, და რომელშიც, სხვათა შორის, თქვა:

"ბევრი მსმენია თქვენი თვალწარმტაცი ქვეყნის, მისი ბუმბერაზი მთე-ბისა და ბარაქიანი მიწის, შთამბეჭდავი ისტორიული ძეგლების, ქართვე-ლი ერის შესანიშნავი ხასიათისა და ურყევი ხელისკვეთების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



არც თუ ბევრ ამერიკელს ხვდა წილად შემნიერება ეწვეოდა საქართველოს, თუმცა თქვენი ქვეყანა კარგადაა ცნობილი ჩვენში. საქართველოს სახელი უნებლიედ მოგვაგონებს არგონავტებს, რომლებიც ოქროს საწმისის საძებნელად გაემგზავრენ კოლხეთს, აგრეთვე პრომეთეს, რომელმაც ცეცხლი მისცა კაცობრიობას, რათა ადამიანი ყოფილიყო თავისუფალი. მხოლოდ კარგად ახსოვს, თუ რამდენი ბრძოლა გადაგხდათ თქვენ, ქართველებს თავისუფლების პრინციპების დასაცავად. და რაოდენი სიმამაცით იცავდით თქვენი ბრწყინვალე საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე თქვენს უძველეს კულტურასა და რელიგიას. ხშირად ყოფილხართ თქვენ დაპყრობილი, თუმცა არასოდეს მომხდარა თქვენი დამონება. საუკუნეების მანძილზე, თქვენ შეძელით საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და არასოდეს შენელებულა თქვენში სურვილი - დაგეცვათ საკუთარი მოქალაქეობრივი უფლებები. ჩვენ, ამერიკელები, აღფრთოვანებული ვართ თქვენი ურყევი სულისკვეთებით. ჩვენი სახელწიფო დაარსდა თვითეული პიროვნების თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე; ჩვენი შვილები შეეწირენ და დღესაც იბრძვიან ამ პრინციპების დასაცავად."

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრმა - დინ ეჩესონმა - განაგრძო:

"ამერიკელი ხალხისა და მისი მთავრობის საბოლოო მიზანია მშვიდობის დამყარება მთელს მსოფლიოში, როცა აღარ იქნებიან ძლიერნი და სუსტნი, ბატონები და ყმები, როცა თვითეული ადამიანი შეძლებს იცხოვროს და იშრომოს თავისუფლებისა და შემნიერების პირობებში ყოველგვარი სიდუხჭირისა და შიშის გარეშე, და როცა ყველასათვის იქნება გარანტირებული რელიგიის თავისუფლება. ასეთია მომავლის ჩვენებური ჭვრეტა, და ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ გაიზიაროთ იგი ჩვენთან ერთად. ამერიკელი ხალხის სახელით, გულითადად მოგესალმებით თქვენ, ქართველებო."

აი, ამონაწერები ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრის - დინ ეჩესონის - სიტყვიდან, რომლითაც მან მიმართა ქართველ ხალხს, 1951 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენობის აღდგენის 33-ე წლისთავზე და რომელიც ქართველ ერს ეცნობა რადიო "ამერიკის ხმით".

XVI.

და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა, 1776 წლის 4 ივლისს, უცხო კოლონიური ბატონობის აღკვეთის შედეგად, - "თვითეული პიროვნების თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე", თუ საფრანგეთის 1789 წლის დიდი რევოლუციის მონაპოვარი - "ძმობა, ერთობა, თავისუფლება", "მესამე დასმა", 1893 წელს, გააპოხიერა ეროვნულადაც, როცა მის სამოქმედო პროგრამად გაიხადა - "ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა", რასაც 1918 წლის 26 მაისს შეესხა ხორცი, როცა გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა - ქართველი ერის დიდი, დიდი უმრავლესობის ნებასურვილის შესაბამისად, ქართველი ერისა, რომლის დემოკრატიული პარტიები და პოლიტიკური დაჯგუფებები სწორედ საქართველოს ეროვნულ საბჭოში გაერთიანდა და ერთიანი ძალღონით პოზიციო-ოპოზიციის დემოკრატიულ ფერხულში ჩაებენ.

XVII.

აი, ასეთი დიადი წარსული გააჩნია საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომლის პირველი, მეორე ყრილობა პარიზში, ხოლო მესამე - ლევილში ჩატარ
ახლა, 1986 წლის 27 აპრილს - ჩავატარეთ რა საქართველოს ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობა, პარიზში, - საყოველთაოდ ვაღიარეთ, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოში გაერთიანებული პოლიტიკური პარტიები, დაჯგუფებები თუ ცალკეული პირები ვდგევართ "26 მაისის" პოზიციაზე, და ეროვნული საბჭოს კარები ღიაა ყოველი დემოკრატიული პარტიისა, დაჯგუფებისა თუ პირებისათვის, რომლებსაც სურთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XVIII.

ამგვარი ეროვნული ერთობისაკენ მოგვიწოდებს ჩვენ, უდავოა, ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა, თუმცა ქართველ ერს თავისი ნება-სურვილის გამოთქმის უფლება, აგერ უკვე თითქმის 65 წელია, - წართმეული აქვს. და ვინაიდან საქართველოს, ქართველ ხალხს საერთაშორისო არენაზე გამოსვლის რეალური საშუალება არ გააჩნია, ეს კიდევ უფრო ადიდებს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ვალდებულებას - გაერთიანდენ ერთი ეროვნული ცენტრის - საქართველოს ეროვნული საბჭოს - ქვეშ და ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, თავისი სიტყვა თქვას საქართველოს, ქართველი ერის სახელით.

აი, ამ დიადი ამოცანის, ფუნქციის შესრულებას ცდილობს ქართული ეროვნული საბჭო დღეს, ატომური და კომპიუტერების მეტად რთულ ეპოქაში. და,გვჯერა, ყოველი პოლიტიკური პარტია, ყოველი პოლიტიკური დაჯგუფება, ყოველი პიროვნება, სადაც არ უნდა იყოს ის,დაეყრდნობა დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპს, ჩადგება ჩვენს რიგებში და თავის წვლილს შეიტანს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის განხორციელების საქმეში.

მაშ, გამარჯვება ვუსურვოთ ამ დიად საქმეს!..

დიდება საქართველოს!..

დიდება ქართველ ერს!..

კარლო ინასარიძე

პარიზი, 1986 წლის 27 აპრილი

"თანასწორობა... დიდი და პატარა ხალხებისა".

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის
ქარტია

# რეზოლუცია

## მიღებული ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობის მიერ 1986 წლის 27 აპრილს პარიზში

ჩვენ, ქართულ ეროვნულ საბჭოში გაერთიანებული პარტიებისა და უპარ-ტიოების წარმომადგენელი-დელეგატები შევიკრიბეთ ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობაზე, პარიზში, 1986 წლის 27 აპრილს, და - გა-ვიხილეთ რა დღევანდელი რთული საერთაშორისო მდგომარეობა, საერთოდ და საბჭოთა საქართველოს მდგომარეობა, კერძოთ, - მივედით შემდეგ დასკვნამდე:

26 მაისის, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენა დამოკიდებულია ორ წინაპირობაზე: პირველია ქართველი ერის საუკუნოვანი შეურყეველი მისწრაფება იმისაკენ, რომ საქართველო იყო თავისუფალი და ისევ უნდა გახდეს თავისუფალი. მეორე წინაპირობა - შესაფერისი საერთაშორისო მდგომარეობის შექმნა - კი მეტად რთული და მრავალფეროვანი მოვლენაა.

საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში, მართალია, ერთი მხრივ შეინი-შნება "პოლიცენტრიზმი"(- მოსკოვი - პეკინი - განვითარებადი ქვეყნე-ბი - ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები)-, მაგრამ მეორე მხრივ-საქართველოს ბედიღბალი არსებითად დამოკიდებულია მოსკოვ-ვაშინგტონის ურთიერთობის პრობლემებთან, და არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს პატარა და დიდი სახელმწიფოების ბედ-იღბალიც.

ეს ორი "ზე-სახელმწიფო" - რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები - მთავარი ფაქტორებია ყოველი საერთაშორისო პრობლემის მოგვარების საქ-მეში.

საბჭოთა რუსეთი, მიყვება რა მეფის რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას, აბუჩად იგდებს განსაკუთრებით მისი მეზობელი პატარა და მოდიდო ერე-ბის თვითგამორკვევის უფლებას თვითგამოყოფამდე. ვიდრე მეტი: სულ ახალ-ახალ სახელმწიფოებს იპყრობს(ავღანეთი) ან ემუქრება დაპყრობით. დემოკრატიული სახელმწიფოების მეთაურის როლი კი ისტორიამ ამერიკის შეერთებულ შტატებს დააკისრა, და ამით საქართველოს სა[illegible]

ჯაჭვულია დემოკრატიული ქვეყნების ბედ-იღბალთან, რაც ჯერ კიდევ
იმ დღიდან კიდევ უფრო გაძლიერდა საქართველოში, რაც საბჭოთა რუ-
სეთმა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფო გაა-
უქმა და ჩვენი სამშობლო რუსეთის იმპერიის ერთერთ პროვინციად აქცია.
ამგვარ რთულ საერთაშორისო მდგომარეობაში საქართველოს, ქართველი
ერის ადგილი დემოკრატიული ქვეყნების რიგებშია. მაგრამ საქართველო,
ქართველი ხალხი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში ძალით მოქცეული მრავალი
ერი და ეროვნება, მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელობის განუკითხავი
ბატონობის ქვეშ იმყოფება, და თითქმის არავითარი შესაძლებლობა არ გაა-
ჩნია ჩვენმა ერმა თავისი წადილი გამოთქვას ღიად, საჯაროთ, საერთა-
შორისო არენაზე და მოითხოვოს საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიო-
ბის დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ აღდგენა.

აი, საქართველოს, ქართველი ხალხის ასეთი რთული საშინაო და საგა-
რეო მდგომარეობა განაპირობებს ქართული ეროვნული საბჭოს მოღვაწე-
ობის გაძლიერებას უცხოეთში, რომ "საქართველოს საკითხი" ისევ დაისვას
არა მარტო ჩვენი მეზობელი ქვეყნების, არამედ განსაკუთრე-
ბით მხოლოდ დემოკრატიული ქვეყნების, ამერიკის შეერთე-
ბული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თუ ინ-
გლისის მთავრობებისა და საზოგადოებრიობის ღის წრეებში.

ამ მეტად რთული ამოცანის გზაზე ჩვენ წარმატებებს მხოლოდ მაშინ
გვექნება, თუ ჩვენ ყველა - პოლიტიკური პარტიები, დაჯგუფებები და
ცალკეული პირები - დავირაზმებით 26 მაისის ეროვნული დროშის ქვეშ,
და ჩვენი სამოქმედო პროგრამის ცენტრში დავაყენებთ საქართველოს გან-
თავისუფლების, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის
ისევ-აღდგენის საქმეს. მართალია, ჩვენ არა ერთი მტერი გვყავდა თვი-
თონვე ჩვენს რიგებშიც: როცა, მაგალითად, 1921 წლის თებერვალ-მარტში
საბჭოთა რუსეთის ჯარი, ლენინის ბრძანებით, დამოუკიდებელ საქართვე-
ლოს იპყრობდა, ქართველი ბოლშევიკები დამპყრობლებს წინ მოუძღოდენ.
მაგრამ ჩვენ ასეთმა სიძნელეებმაც არ უნდა შეგვაშინოს, ვინაიდან,
გვჯერა, ქართველი ერის დიდი უმრავლესობა ეროვნული თავისუფლებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველთვის იბრძოდა, იბრძვის და მომავალშიაც იბრძოლებს. და ამ რწმენით მოგიწოდებთ ყველა ქართველს, სადაც არ უნდა იყოთ თქვენ, თქვენი წვლილი შეიტანოთ ეროვნული თავისუფლების მოპოვების საქმეში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავისუფლებას კი არ "იძლევიან", არამედ მას"მოპოვება"უნდა, რისთვისაც საჭიროა ბრძოლა.

ქართული ეროვნული საბჭო აღიარებს, რომ იგი არის პოლიტიკური ორგანო, რომელიც აწარმოებს ბრძოლას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ აღდგენისათვის.

ეროვნული საბჭოს პოლიტიკური პლატფორმა:

1. შეურიგებელი ბრძოლა ბოლშევიკური, ყოველი ჯურის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

2. ყველა ერის თვითგამორკვევის უფლების ცნობა სრულ სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე.

3. ერისა და პიროვნების თავისუფლება, სამოქალაქო უფლებების უზრუნველყოფა განურჩევლად სქესისა, რწმენისა და ეროვნებისა.

4. აღკვეთა ყოველი ჯურის ტერორისა და ძალადობისა.

5. ბოლშევიკური რეჟიმის დამხობის შემდეგ, ყოველი ჯურის შურისძიების არდაშვება.

6. სახალხო მეურნეობაში კერძო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული საკუთრების აღიარება, და ყოველი ჯურის იძულებითი შრომის აღკვეთა.

7. ეროვნული საბჭო, აღნიშნული მიზნების განხორციელებისას, უკავშირდება დ ა პ ყ რ ო ბ ი ლ ი ერების მებრძოლ დემოკრატიულ ორგანიზაციებს უცხოეთში, რომლებიც იბრძვიან ბოლშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ.

და აი, ამგვარი ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოგიწოდებთ ქ ა რ თ უ ლ ი ეროვნული საბჭოს მეთაური ყრილობა თქვენ - საქართველოს დემოკრატიული პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკური დაჯგუფებების თუ უპარტიოთა ყოველ პირს - გაერთიანდეთ ჩვენს ეროვნულ საბჭოში, ვინაიდან "ძალა ერთობაშია".

მაშ, გამარჯვება ვუსურვოთ ამ დიად საქმეს!..
დიდება საქართველოს!.. დიდება ქართველ ერს!..

გამარჯვება "26 მაისის იდეას!.."

1986 წლის 27 აპრილი, [illegible]

მოწვევა შეუძლია მოითხოვოს ეროვნულ საბჭოში გაერთიანებულ ყოველ პარტიას ან დაჯგუფებას, რაც უნდა დააკმაყოფილოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა. საგანგებო ყრილობის მოწვევის აუცილებლობა წერილობით უნდა დაასაბუთოს ამა თუ იმ პარტიამ თუ დაჯგუფებამ,რაც უნდა მიიღოს აღმასრულებელი კომიტეტის უმრავლესობამ.

<u>მუხლი მერვე:</u> ქართული ეროვნული საბჭოს ყრილობა ყოველ საკითხს ხწყვეტს ეროვნული საბჭოს ყველა წევრ პარტიისა და დაჯგუფების შეთანხმების საფუძველზე. "ხმის უმრავლესობის" დემოკრატიული პრინციპი კი არსებობს და ძალაშია ეროვნული საბჭოს ყოველი წევრ პარტიის თუ დაჯგუფების დელეგატების სფეროში, რომლის მეოდგად შემუშავდება საერთო შეთანხმების მიღწევა ეროვნული საბჭოს ყრილობის სფეროში.

<u>მუხლი მეცხრე:</u> ქართული ეროვნული საბჭოს ყრილობა ირჩევს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ცხრა წევრისა და ორი კანდიდატის შემადგენლობით.

<u>მუხლი მეათე:</u> ქართული ეროვნული საბჭოს ყრილობა უფლებას ანიჭებს აღმასრულებელ კომიტეტს, საჭიროების შემთხვევაში, გაზარდოს კომიტეტის წევრთა რაოდენობა კოოპტაციის წესით.

<u>მუხლი მეთერთმეტე:</u> ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს ყრილობას აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედება-მოღვაწეობის შესახებ.

<u>მუხლი მეთორმეტე:</u> ქართული ეროვნული საბჭოს ყრილობის ყოველი დელეგატი თავისი მოქმედება-არმოქმედებისათვის პასუხისმგებელია იმ პარტიის ან პოლიტიკური დაჯგუფების წინაშე, რომლის დელეგატიც ის არის.

<u>მუხლი მეცამეტე:</u> ყოველ პარტიასა და პოლიტიკურ დაჯგუფებას შეუძლია მისი დელეგატი ან ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი გაიწვიოს და მის მაგივრად ახალი პირი წარმოადგინოს.

## თავი მესამე

## ეროვნული საბჭოს მმართველობის ორგანო

<u>მუხლი მეთოთხმეტე:</u> ქართული ეროვნული საბჭოს მმართველობის ორგანოა აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც თავის რიგებიდან ირჩევს

ქართული ეროვნული საბჭოს თავჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივანს(პრეზიდიუმი).

მუხლი მეთუთხმეტე: ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თავისი რიგებიდან ან ეროვნული საბჭოს რომელიმე პარტიის ან დაჯგუფების წევრიდან ადგენს ორ კომისიას – საშინაო და საგარეო საქმეების საწარმოებლად.

მუხლი მეთექვსმეტე: ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საშინაო საქმეებს ხელმძღვანელობს ამ განყოფილების გამგე, რომელიც მის მოქმედება-არმოქმედებაში პასუხისმგებელია აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

მუხლი მეჩვიდმეტე: ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საგარეო საქმეებს ხელმძღვანელობის ამ განყოფილების გამგე, რომელიც მის მოქმედება-არმოქმედებაში პასუხისმგებელია აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

მუხლი მეთვრამეტე: ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საშინაო საქმეების ფუნქციებში შედის:

1. კავშირების დამყარება ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან და დაჯგუფებებთან.
2. ეროვნული საბჭოს პრესის ორგანოს რედაქციის, გამოცემისა და დარიგების ორგანიზაცია.
3. ქართულ სათვისტომოებთან კავშირის დამყარება უცხოეთში, განსაკუთრებით საფრანგეთში, შეერთებულ შტატებში, ინგლისში, გერმანიაში თუ არგენტინაში, სადაც ცხოვრობენ ქართველი პოლიტიკური ემიგრანტების დიდი ნაწილი.
4. საბჭოთა საქართველოს პრესის შესწავლა და მისი ანალიზი.
5. ეროვნული დღესასწაულების, განსაკუთრებით 26 მაისის, აგვისტოს აჯანყების და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნისათვის ხელშეწყობა და ამგვარი ეროვნული მნიშვნელობის თარიღების აღნიშვნის ანგარიშების გამოქვეყნება ეროვნული საბჭოს პრესის ორგანოში.
6. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შესწავლა ქართველ ე.წ-დ დისიდენტების, ე.ი. თავისუფლად-მოაზროვნეების მიერ გამოცემული თვით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემის დოკუმენტების მიხედვით.

7."26 მაისის იდეის" დაცვა ყოველი სახის შემოტევებისაგან.

<u>მუხლი მეცხრამეტე:</u> ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის <u>საგარეო საქმეების</u> ფუნქციებში შედის:

1.კავშირების დამყარება კავკასიის ერებისა და ეროვნებების დემოკრატიულ ორგანიზაციებთან.

2.კავკასიის ერებთან და ეროვნებებთან ურთიერთობაში, საქართველოს ეროვნული საბჭო მიყვება დამოუკიდებელი საქართველოს(1918-1921 წ.წ.) პოლიტიკურ კურსს, რომლის საბოლოო მიზანი იყო კავკასიის ოთხი - საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და მთიელების დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოების <u>კონფედერაციის</u> შექმნა.

3.კავშირების დამყარება დ ა პ ყ რ ო ბ ი ლ  ე რ ე ბ ი ს დემოკრატიულ ორგანიზაციებთან თუ პარტიებთან, რომლებიც აღიარებენ ერისა და პიროვნების თავისუფლებასა და კავკასიის კონფედერაციის შექმნის იდეას.

4.კავშირების დამყარება ევროპისა და ამერიკის სამთავრობო და სხვა უწყებებთან, რომლებიც აღიარებენ ერების თვითგამორკვევის უფლებას სრულ სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე.

5.კავშირების დამყარება იმ სახელმწიფო თუ კერძო ორგანოებთან, რომლებიც აწარმოებენ ქართულ-ენოვან რადიოგადაცემებს საქართველოში. ქართულმა საზოგადოებრიობამ ემიგრაციაში უნდა იცოდეს თუ რა სახის მასალები რადიოთი გადაიცემა საქართველოში, და თუ რაიმე ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, შეეცადოს მის გამოსწორებას.

6.კავშირების დამყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან "ქართული საკითხის" წამოჭრისა და პოპულარიზაციის მიზნით.

<u>მუხლი მეოცე:</u> ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ყოველი წევრი მოქმედებს უშუალოდ აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით და ანგარიშს აბარებს მას. ყოველგვარი თვითნებური მოქმედება დაუშვებელია.

მუხლი ოცდამეერთე: ქართული ეროვნული საბჭოს კარებში ღიაა ყოველი პოლიტიკური პარტიის თუ დაჯგუფებისათვის ისევე, როგორც ყოველი პირისათვის, რომელიც აღიარებს და იბრძვის 26 მაისის იდეების განხორციელებისათვის.

## თავი მეოთხე

## ლიკვიდაცია და ფინანსიური სახსრები

მუხლი ოცდამეორე: ქართული ეროვნული საბჭო თავისთავს გამოაცხადებს დაშლილად, როცა საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, ისევ აღდგება "26 მაისის იდეა", ე.ი. გამოცხადებულ იქნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა.

მუხლი ოცდამესამე: ქართული ეროვნული საბჭოს ფინანსიურ სახსრებს წარმოადგენს მის წევრთა და თანამგრძნობთა ნებაყოფლობითი შემოწირულებანი.

პარიზი, 1986 წლის 27 აპრილი

"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა".

"მ ე ბ რ ძ ო ლ ი   ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო"

დაარსდა: ი ა ნ ვ ა რ ი 1952 — Fondation: JANVIER 1952

Directeur: Charles Takaichvili — 10, rue Jules Ferry
Leuville sur Orge 91
FRANCE

ეროვნული
ბიბლიოთეკა